ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 ხუთშაბათი, 13 დეკემბერი № 1669

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის"-„ცნობის ფურცლის" რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе». ტელეფონი № 372.

ხუთშაბათს, 13 დეკემბერს 1901 წელს

ქართული თეატრი

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

« ვ. ა. აბაშიძის საბენეფისოდ »

პირველად ახალი პიესა

I

უცნაური ხაფანგი

კომედია 3 მოქ. თხზ. ნ. გ. ც.

II

რაინდი უშიშარი და უებრო

ოპერეტა 2 მოქმედებად მუსიკა ზუპპესი, თარგ. ვ. აბაშიძისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. გაბუნია-ცაგარლისა, ტასო აბაშიძე, ჩერქეზიშვილი, ლეჟავა, ნებიერიძისა, მდივანი; ბ.ბ. აბაშიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, იმედაშვილი, ყურუშაძე და სხვ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზე. **ფასები ჩვეულებრივია.**

მზადდება „პედაგოგები", „ბორკილი" და „გაცრცუდი ფოსტა". რეჟისორი ვ. გუნია.

ტფილისის
კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დილით:

მ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

ი. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

მძ. ქალი მ. ხ. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი. დედათა სნეულებანი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი $1^1/_2$—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი.—შინაგანი და ბავშვებისა 5—6 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით, ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) **ტელეფონი № 274.** (წლ.)

კახეთის მევენახეთა საზოგადოების „**კახეთის**" გამგეობას პატივი აქვს აუწყოს საზოგადოების წევრთ, რომ 1902 წლის 6 იანვარს დანიშნულია **საზოგადო კრება** წევრთა, თელავში, დილის 10 საათზე. კრებამ უნდა განიხილოს წლიური ანგარიში, 1901/1902 სამოქმედო წლის ხარჯთ-აღრიცხვა; ღვინის დაფასებისა და ვენახების სეტყვისაგან საურთიერთო დაზღვევის პროექტები; წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლის შესახებ მოხსენება; საზოგადოებისათვის საჭირო უძრავ მამულების შეძენის საქმე; საზოგადოების უზრუნველ ყოფა იმ მამულთა უძრავ ქონებით, რომელნიც კუთვნილზე მეტს გაიტანენ საზოგადოებიდან; სეტყვასთან ბრძოლის მოწყობა მორტირების საშუალებით; ავტომობილების შეძენა ღვინის საზიდავად; თელავის მომხმარებელ საზოგადოების კომიტეტის წინადადება; საზოგადოების წევრის ილ. წინამძღვარიშვილის განცხადების გამო მოხსენება; საკომისიო ჯილდოს რაოდენობის აღნიშვნა; მოგების განაწილება; საზოგადოების ახალ წევრების არჩევა; გამგეობის წევრთა და მათ კანდიდატთა არჩევა. (3—1)

შრომის მოყვარეობის ტფილისის სახლში

15 დეკემბრიდან 23-მდე გაიყიდება **თეთრეული და ტანისამოსი**. სახლის ადრესი: ნიკოლოზის ქუჩა, № 100, ინტენდანტსტვოს პირდაპირ. (5—2).

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკ. სახლი, ტელეფონი. 791.

დაგვიანებული იმედი

წარსული თავად-აზნაურთა კრება საყურადღებო იყო ერთის მხრით. ბევრს ლაპარაკობდნენ სამეურნეო სკოლაზე, სამეურნეო ცოდნაზე. და ამ სამეურნეო სკოლის დაარსებას აძლევდნენ დიდ მნიშვნელობას. ამ მნიშვნელობას აძლევდნენ როგორც სკოლის დაუყოვნებლივ დაარსების მომხრენი, ისე მოპირდაპირენი. ვინც წინაალმდეგი იყო სამეურნეო სკოლის დაარსებისა, წინაალმდეგი იყო იმიტომ კი არა, რომ ეჭვის თვალით უყურებდა ამ გვარ სასწავლებლის სარგებლობას, იმიტომ, რომ ამ ჟამად სხვა საჭიროების დაკმაყოფილება უფრო მიუცილებელ საქმედ მიაჩნდა. ხოლო სამეურნეო სკოლის დაუყოვნებლივ დაარსების მომხრენი და მოპირდაპირენიც იმ აზრისა იყვნენ, რომ თავად-აზნაურობისათვის ფრიად სასარგებლოა სამეურნეო ცოდნა, რომ ამ ცოდნის გავრცელებაზეა დამოკიდებული თავად-აზნაურობის მომავალი და სიმაგრე.

ყველა ამაში ჩვენ ის კი არ გვაკვირვებდა, რომ სამეურნეო სკოლის სარგებლობაზე აღიძრა ლაპარაკი, არამედ ის, რომ ყველანი ამ კითხვის გარშემო ტრიალებდნენ და არავინ არა სთქვა, რაში უნდა გამოიხატებოდეს თავად-აზნაურობისათვის ეს სარგებლობა, არავინ არ დაასაბუთა ის აზრი, რამდენად ვიწროდ არის დაკავშირებული თავად-აზნაურობის წოდების სიმტკიცე და ღონე და სამეურნეო ცოდნა. ის, რაც ითქვა, ე. ი. ზოგადი მოსაზრება სამეურნეო სკოლის მნიშვნელობაზე თავად-აზნაურობის კეთილ-დღეობისათვის, არაფერს არ არკვევდა, არაფერს არ ასაბუთებდა, რადგან კითხვა მაინც გამოურკვეველი რჩებოდა და ამ გამოურკვევლობით დამსწრეთ უბადავდა გულში დაგვიანებულ და უსაფუძვლო იმედებს.

ყველამ ვიცით თავად-აზნაურობის უნუგეშო მდგომარეობა. არავისთვის არ არის დასამალი, რომ თავად-აზნაურობა ღარიბდება, მიწას ჰკარგავს და ამასთან ცხოვრებაშიაც თანდათან სხვას, უფრო მომზადებულ და ღონიერ ნაწილს, უთმობს ადგილს. ეს ყველამ ვიცით, ამაში ყველანი ვართ დარწმუნებული. ხოლო ერთში ვყოყმანებთ, ერთი კითხვა არა გვაქვს გადაწყვეტილი, გამორკვეული, სახელდობრ ის, რამდენად შესაძლებელია, მოსახერხებელი და სასურველი თავად-აზნაურობის (როგორც წოდების) გამობრუნება, ფეხზე დაყენება და გამაგრება. ამ გამობრუნების და აღდგენის იმედები აქვს არა ერთს და ორს თავად-აზნაურს. გამობრუნების აჩრდილი ჯერ კიდევ ბევრს უბადავს რწმენას და ოცნებას, ბევრი ჰფიქრობს იმაზე, თუ რა გზას უნდა დაადგეს აზნაურობა, რა განათლება მიიღოს, რათა მშვიდობიანად მიაღწიოს სანატრელ მიზნამდე—ეკონომიურ აღორძინებამდე. ამ იმედებით და ოცნებებით არის გამსჭვალული თავად-აზნაურის ფსიხოლოგია და ეს სანუკარი მომავალი ამოქმედებს, ალაპარაკებს, აღელვებს და აფიქრებს ჩვენს თავად-აზნაურს, როდესაც კი ეძლევა შემთხვევა, თავის აზრის და ლტოლვილების გამოსახვისა და გამოქვეყნებისა. ხოლო კითხვა იბადება, შესაძლებელია თუ არა თავად-აზნაურობის, ეკონომიურად გაღონიერება? შეუძლია თუ არა სამეურნეო (ან კიდევ სხვა ტიპის) სკოლას ამ აღდგენის სასწაული ჩაიდინოს?

ამ კითხვის გადაწყვეტა ყოვლად შეუძლებელია, თუ მხედველობაში არ ვიქონიეთ ეკონომიური ხასიათი თანამედროვე ცხოვრებისა არამც თუ ჩვენში, სხვა ქვეყნებშიაც. ეკონომიურის მხრით, ჩვენი ცხოვრება განსაკუთრებულ პირობებს არ წარმოადგენს. ჩვენი მწარმოებელი და მიწის მფლობელიც ემორჩილება მსოფლიო ეკონომიურ ცხოვრების ძარღვის ცემას. ჩვენც ზღვის და მთების იქითა გვაქვს მიპყრობილი თვალები, ჩვენც მოგველის ის ხვედრი, რაც სხვას არგუნა ცხოვრების ჩარხის განუწყვეტელმა ბრუნვამ. ვაჭრობამ და მრეწველობამ თავის ელფერი დაადო არამც თუ ქალაქურ ცხოვრებას, სოფლისასაც. სოფლის კეთილ-დღეობა და სვებედი მსოფლიო ბაზარს დაემორჩილა. მსოფლიო ბაზარმა ფული გაამრავლა, დაატრიალა, გააძლიერა. ფულმა მოუღო ბოლო ძველებურ საზოგადოებრივ წყობილებას, ძველებურ ეკონომიურ ურთიერთობას. დაირღვა ბატონ-ყმური წესი, დაიშალა ცხოვრების კარ-ჩაკეტილობა. შრომას მიეცა ფასი და ღირსება. შრომის შემსუბუქება და ნორმალურ პირობებში ჩაყენება ახალ და მიუცილებელ კითხვად შეიქმნა. შრომის მოურიგებელ მოპირდაპირედ, ქალაქში, კაპიტალი, სოფელში დიდი მამულის მფლობელობა შეიქმნა. და ამ თავის მოპირდაპირეებთან (კაპიტალთან და მამულის მფლობელობასთან) შრომას წინააღმდეგობა და შეტაკება მოუვიდა. ქალაქს თავი დავანებოთ, რადგან თავად-აზნაურობის კითხვა გვაქვს სახეში და ჩვენს სოფელს რომ დაუკვირდეთ, აშკარად დავინახავთ, რომ იქ, სახნავი მიწა, საბალახე, იალაღი, ტყე, ზვარი, ბოსტანი და სხვა—ყველა ამაში გლეხი ჯერ-ჯერობით დამოკიდებულია მემამულისაგან. თუ მოახერხა და განთავისუფლდა ამ დამოკიდებულებისაგან, თუ ჩაიგდო ხელში და შეისყიდა კარ-მიდამო, სახნავ-სათესი, გლეხი ხდება წვრილ მემამულეთ, თავისუფალ მიწის მომქმედათ. და ამ შემთხვევაში იგი სწყვეტს ყოველივე კავშირს მემამულესთან. ჩვენი დროის და ცხოვრების მიმდინარეობა და სიმართლის მოთხოვნილება ერთმანეთთან დაკავშირების ნიშნებს გვაძლევენ. და ყველასათვის, ვინც ადევნებს თვალ-ყურს სოფელს, აშკარაა, რომ მიწის მომქმედის ინტერესი მოითხოვს დაესაკუთროს ყველა იმას, რასაც, მეცნიერებაში, წარმოების სამუშაო იარაღს უწოდებენ, ე. ი. მიწას (ტყეს, საბალახეს და სხ.).

იტყვიან, და აი სწორედ ამისათვის გვინდა სამეურნეო სკოლა, რომ ცოდნა მივცეთ მეურნეს, მცირედი შრომით გამოვაღებინოთ მიწას ის, რის შემუშავებისთვის წინად აუარებელი მუშა ხელი სჭირდებოდა. სამეურნეო ცოდნის დახმარებით შემოვიღოთ სხვა-და-სხვა იარაღები, შრომა გავაადვილოთ და მაშინ თვითონ მემამულე რამდენიმე კაცის დახმარებით წაიყვანს საქმეს, სხვისი დახმარება აღარ დაგვჭირდებათ.

მაგრამ, სინამდვილეში, საქმე სხვანაირად მოხდება ხოლმე. ცხოვრება ხშირად არ უწევს ანგარიშს ამა თუ იმ კაცის მოსაზრებას. მაგარი სწორედ იმაშია, რომ იმ ხარჯს, რომელიც მოუვა ამ შემთხვევაში მემამულეს (იარაღების ყიდვაში, გაუმჯობესებულ სამეურნეო წესების შემოღებაში), ვერ დაჰფარავს მამულის შემოსავალი. თანამედროვე ეკონომიურ პირობებში, დიდი მამული, საზოგადოთ ყველგან, ჩვენში როგორც უცხოეთში, ვერ ადის იმ ხარჯს, რომელიც საჭიროა მის გონივრულ შემუშავებისათვის. მამულის შემოსავალი თანდათან კლებულობს, რადგან ნაწარმოებს ფასი აღარ აქვს უცხოეთის ქიშპობის და შეჯიბრების გამო. ახალი წესის იარაღი არ შველის. ჩვენ ვხედავთ, რომ ევროპაში ამ ჟამად მცირდება დიდ-მემამულეთა რიცხვი და მემამულეები თავს ანებებენ სოფლის მეურნეობას. ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი წვრილ სოფლის მესაკუთრეთა ზრდის შესახებ და დიდ მემამულეთა რიცხვის დაკლებისა ევროპაში,—საფრანგეთში, ბელგიაში და თვით ინგლისშიაც *). ყველა ამ ქვეყნებში, მიუხედავად შემოღებულ სამეურნეო კულტურის წესებისა, მემამულეთა მდგომარეობა ხსენებულ მიზეზების გამო, დიდ განსაცდელშია. ასეა იქ, ასევე არის და იქნება ჩვენშიაც. ხოლო ჩვენში საერთო ეკონომიურ პირობებს ის უნდა დაუმატოთ, რომ უგზოობის და გაუნათლებლობის გამო, მსოფლიო ბაზრის შეჯიბრება უფრო საგრძნობია, რადგან უცხოეთიდან მოსული ნაწარმოები სიიაფის და თვისების გამო, ადვილად განდევნის ჩვენის ბაზრებიდანაც კი ჩვენებურს ნაწარმოებს. ამის ნიშნებს ეხლაც ვხედავთ.

მაშასადამე, სამეურნეო სკოლა და ცოდნა ვერ უშველის ჩვენს მემამულეს, ვერ გააღონიერებს თავად აზნაურობას და ვერ დაუბრუნებს ძველებურ ძალას. იტყვიან, ძველებურ დიდების აღდგენა აზრად არავის არა აქვს. სამეურნეო ცოდნა საჭიროა ჩვენში, რადგან ჩვენი ქვეყანა განსაკუთრებულად მეურნეობის ქვეყანაა. დიალაც ასეა, ხოლო ამ შემთხვევაში სამეურნეო სკოლა **საყოველთაო** უნდა იყოს და არა მარტო სათავადო. მიწის მომქმედს დიდს სარგებლობას მოუტანდა ამგვარი სკოლა, რადგან გაუადვილებდა, ცოდნის საშუალებით, პატარა მიწის შემუშავების საქმეს. მაგრამ კითხვა ამნაირად არ არის დაყენებული. თავად-აზნაურობა თავის წოდების ფარგალს არ შორდება და აი სწორედ ამისათვის მისი მოლოდინი უკეთესის მომავალისა უსაფუძვლო მოლოდინია და მისი იმედები დაგვიანებული იმედებია. თავად-აზნაურობას მომავალში იმდენად **მეტი** მნიშვნელობა ექმნება, რამდენად **ნაკლები** ექმნება წოდებრივი ხასიათი და რამდენადაც **მეტად** ემსახურება იგი საერთო საქმეს, და დღეს ამ საერთო საქმეს თავად-აზნაურობა უფრო საზოგადო განათლების საშუალებით ემსახურება, ვიდრე სამეურნეო სკოლის დაარსებით.

არჩილ ჯორჯაძე

დეპეშა

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

11 დეკემბერი

პეტერბურგი. პრინცესა ევგენია მაქსიმილიანის ასულმა ოლდენბურგელისამ და დიდმა მთავრინამ ოლღა ალექსანდრეს ასულმა ინახულეს დიდით მოწყალების დათა სვიატო-ტროიცკის კრებული.

ხარკოვი. 10 დეკემბერს დაიწყო ქალაქის დამატებითი არჩევნები; სულ არჩეულია ჯერ-

---

*). სოფელი და ქალაქი.

ჯერობით 50 ხმოსანი. ცუდი ამინდები, რომელმაც ორი კვირა გასტანა, შეიცვალა სუმბუქი ყინვით.

უფა. შემდეგ 30 გრადუსიან სიცივეებისა, თბილი ამინდი დაიჭირა; სამი დღე და ღამე თოვლი მოდის; ქალაქი მთლად ამოივსო თოვლით.

ტამბოვი. 12 დეკემბერს დაიხურა საგუბერნიო საერო კრება; ბევრი მოხსენება დარჩა მმართველობისა გაურჩეველი; ჰფიქრობენ, თებერვალში მოახდინონ საგანგებო კრება.

პეკინი. იმპერატორის სასახლის კარის ხალხი მოვიდნენ წყლის საზღვარზე. იპოვნეს მოკლული თავის დუქნის წინ ბერძენი-ვაჭარი, საელჩოების უბანში.

ვარშავა. ფინანსთა სამინისტრო ნიშნავს განსაკუთრებულ კომისიას პოლონეთში საკლასო ლოტერეის გადასაკეთებლად. ამ მხარეში მოვიდა წარმომადგენელი ფრანგების ფრინველ-მოვაჭრეთა და ხელ-შეკრულობასა სდებს, რომ საფრანგეთში გაიგზავნოს ცოცხალი და დაკლული ფრინველები რიგიან ფასად. პეტროკოვის გუბერნიაში დანიშნულია ძალით გაყიდვა 80 მამულისა იმის გამო, რომ არ გადაუხდიათ საერო საკრედიტო საზოგადოების ვალი.

ვილნო. ცნობილი საქმე ბლონდესისა დანიშნულია ოლქის სასამართლოში 1902 წლის 28 იანვრისთვის.

ნიუ-იორკი. ბუენოს-აირესიდან იტყობინებიან, რომ ჩილის რესპუბლიკის საელჩოს დაეცა დიდი ბრბო ხალხისა, რომელიც ყვიროდა: «არ იყოს ჩილი!», მაგრამ ეს ბრბო გაფანტეს, ვიდრე რამე ვნებას მისცემდენ საელჩოს.

ლონდონი. კიტჩენერი იტყობინება, რომ დევეტი 5 დეკემბერს 800 კაცით დაეცა გენერალ დარტნელს ლანგბერგთან, ბეთლემის ოლქში, მაგრამ ბრძოლის შემდეგ, რომელმაც რამდენიმე საათი გასტანა, უკუ-ქცეულ იქმნა; დევეტმა ოცი კაცი დაჰკარგა; ინგლისელებს ერთი ჯარის კაცი მოუკლეს და ორი ოფიცერი და 10 ჯარის კაცი დაუჭრეს. როგორც სპენსი იტყობინება, ცხენოსან რაზმს, რომელიც 200 კაცისაგან შესდგებოდა, ტრანსვაალში თავს დაეცა 300 ბური და 40 შეიარაღებული ადგილობრივი მცხოვრები. ერთი ნაწილი დაამარცხეს, ვიდრე იმათ სპენსი მიეშველებოდა. ზარალი დიდი; დაჭრილებით ცნობები არ არის. ორი ოფიცერი მძიმედ არის დაჭრილი. პოლკოვნიკები დემენტი და რემინგტონი მოვიდნენ ტაფელკოპში ორანჟეს რესპუბლიკაში. 7 დეკემბერს გათენებისას 800 ბური ბოტას უფროსობით თავს დაეცნენ დემენტის მოწინავე რაზმს და მიუხედავათ მამაცის ბრძოლისა, დაიჭირეს ერთი გორაკი, რომელიც უმთავრეს რაზმსა და ზარბაზნებს დაჰყურებდა. დემენტმა განდევნა ეს ბურები. დიდი ზარალი მოუვიდა ინგლისელებს: 2 ოფიცერი და 20 ჯარის კაცი მოუკლეს, 3 ოფიცერი და 17 ჯარის კაცი დაუჭრეს. რემინგტონმა ბურების უფროსი კოლტერი და 4 ჯარის კაცი დაატყვევა.—პოლკოვნიკი მაკ-კენზი 6 დეკემბერს კაროლინას ოლქში ბარენდისა და სმიტის რაზმს დაეცა. 6 ბური მოჰკლეს და 16 დაატყვევეს.—ბურების სარდალი მიულერი ნილსტრომის ოლქში 6 დეკემბერს პოლკოვნიკ პარკის რაზმს დაეცა. მიულერს ზარბაზნებიც ჰქონდა. ბურები უკუ-აგდეს; ბრძოლის ველზე ბურებმა 8 მოკლული და 3 დაჭრილი დასტოვეს. ინგლისელებს მოუკლეს 7 კაცი და დაუჭრეს ბევრი ოფიცერი და ჯარის-კაცი.

სოფია. საერო კრებამ გუშინ ვერა გადასწყვიტა რა ფულის სესხის შესახებ. თოდოროვმა მთელი 4 საათი ილაპარაკა სესხის წინააღმდეგ. დღესაც, ამ საქმეზე აქვთ ლაპარაკი.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

სამხრეთ-აფრიკა. «სტანდარდი»-ის კორესპონდენტი იწერება: ამ ხანებში ბურების სარდლებმა თათბირი მოახდინეს და დაადგინეს, რომ ბურების ჯარი ახალ წესზე მოაწყონ. ბურების მრავალი რაზმი მთელ სამხრეთ აფრიკაშია გაფანტული. ყველა რაზმებიდან სამი კორპუსი შესდგება. კორპუსის უფროსებად ბოტა, დელარეი და დევეტი იქნებიან. ამ ბოლოს დროს ინგლისის ჯარი ხშირად იმარჯვებდა ბურებზე და რამდენიმე წვრილი რაზმი დაატყვევა კიდეც, ამიტომ მთავარ-სარდალმა ბოტამ საჭიროდ დაინახა ხსენებული ცვლილება მოეხდინათ.

✣ ტრანსვაალის მოქალაქე დოქტორი კრაუზე ახლა ლონდონშია და თავის საქმის გარჩევას ელის. სასამართლოს შეუტყობინებია კრაუზესათვის, თქვენ საქმეს უმთავრესი სისხლის სასამართლო მომავალ იანვარში გაარჩევსო. დოქტორ კრაუზეს ჰბრალდება, ვითომ 1901 წლის 6 აგვისტოს ვინმე კორნელი ბრუსლი წააქეზებინა ინგლისის ქვეშევრდომი ჯონ დუგლას ფოსტერი მოეკლა.

ინგლისი. ლონდონში ამ დღეებში ლიბერალური ფედერაცია დააარსეს. ფედერაციამ თავის თავმჯდომარედ ოპოზიციის წინამძღოლი კემპბელ-ბანერმანი აარჩია. ლიბერალების მეთაურმა იკისრა ეს თავმჯდომარეობა. ფედერაცია მომავალ 31 დეკემბერს დიდ კრებას მოახდენს. კრებაზე კემპბელ-ბანერმანი ილაპარაკებს.

საფრანგეთი. დეპეშიდან გვეტყობინებათ, რომ პროფესორ ერვეს საქმეზე დეპუტატთა პალატაშიაც იყო ლაპარაკი, ამის თაობაზე «ბერლინერ ტაგებლატ»-ის კორესპონდენტი სწერს: სოციალისტების მეთაური ვივიანი დაეკითხა მთავრობას, პროფესორ ერვე რად გადააყენეთ თანამდებობიდანაო. მართალია სოციალისტები დაეკითხნენ მთავრობას, მაგრამ წინადვე იცოდნენ, რომ აქედან სულ ერთია არა გამოვიდოდა რა: სოციალისტებმა კარგად იცოდნენ, რომ ამ საქმეში მემარცხენეთა უმეტესობის გარდა, ცენტრი და მემარჯვენენიც კი მთავრობას მიუდგებოდნენ, ასე რომ ყველამ იცოდა წინადვე, რომ ამ დაკითხვით მთავრობას ვერას დააკლებდნენ. საერო განათლების მინისტრმა ლეიგმა მეტად ადვილად მისცა პასუხი, რომ ერვეს წერილის მკაცრი კილო და მისი მოქმედები თითონ რადიკალებსაც არ მოეწონა. ლეიგმა მაინც ხათრი შეუნახა სოციალისტებს და ერთი ცუდი სიტყვაც არ უთქვამს ერვეს აზრებისა და მოქმედების თაობაზე. მინისტრმა მარტო ის სთქვა, რომ ჯარებს ჯარ-ჰყოფს, ის თავის აზრებს უნივერსიტეტში კი არა, სხვაგან სადმე უნდა ავრცელებდეს. ამ სიტყვებს მთელი პალატა ძლიერის ტაშის ცემით მიეგება. ნაციონალისტმა მასაბოომ ურჩია პალატას, ლეიგის სიტყვა დავბეჭდოთ და მთელ საფრანგეთში გავავრცელოთ, მთავრობა, ცოტა არ იყოს, სასაცილო უფსკრულში ჩავარდა, მაგრამ რადიკალებმა იხსნეს ამ სირცხვილისაგან: თითონაც ამნაირივე რჩევა მისცეს პალატას. მათი რჩევა პალატამ მიიღო 412 ხმის უმეტესობით 65 ხმის წინააღმდეგ.

თითონ ერვეც დაესწრო პალატის კრებას.

გერმანია. დეპეშიდან გვეტყობინებათ, რომ პოლონელთა საქმეზე გერმანიის რეიხსტაგშიაც იყო ლაპარაკი. ამ საქმეზე პოლონელი დეპუტატი თავადი რაძივილი დაეკითხა მთავრობას. კანცლერ ბიულოვს მაშინვე პასუხი მიეცა და მთავრობა ყველაფერში გაემართლებინა. ასევე მოიქცნენ ყველა კონსერვატორები და ნაციონალ-ლიბერალებიც. ნაციონალ-ლიბერალ ზატლერს უთქვამს: პოლონელები მეტად უვიცი, განუნათლებელი ხალხი არიან და ჩვენ, გერმანელებმა უნდა გავანათლოთო. პოლონელები ამ ველურობისაგან და თავიანთ თავად-აზნაურობის მონობისაგან უნდა დავიხსნათო. გალიციაში პოლონელი თავად-აზნაურობა სისხლს უშრობს თავიანთ გლეხ ხალხსაო. პოლონელებს ჩვენზე ეთქმით რამე? განა თითონ ყურესად არ იქცევიან გალიციაში? რა დღეს აყენებენ რუსინებს? ეხლაც ლვოვის უნივერსიტეტში ნებას არ აძლევენ, რომ რუსინულ ენაზე სწავლობდეს სწავლაო. ბევრს, სწავიან რუსინები, მაგრამ პოლონელებს აინუნშიაც არ მოსდით რუსინების ჩივილით. თუ კი პოლონელები ასე იცავენ თავიანთ ენასა და ყველგან ბატონობას ცდილობენ, ჩვენ, გერმანელები რაღა ვართ? განა ყველაფერში მაღლა არა ვდგავართ პოლონელებზეო?—ასე ულაპარაკნია გერმანელ შოვინისტს. ერთში კი არა სტყუის: პოლონელი თავად-აზნაურობა და საზოგადოთ პოლონელი შოვინისტები გალიციაში მართლაც და საქმეს უჭირვებენ თავიანთ გლეხ ხალხსაც და რუსინების ერსაც. ასე იქცევიან ყველგან შოვინისტები, მაგრამ სულ სხვაა ჩვენი დროის დემოკრატიის ქცევა და აზრი. ზატლერის და სხვა გერმანელი შოვინისტებისათვის სოციალ-დემოკრატების დეპუტატს ლედებურს მიეცა კარგი პასუხი.—ლედებურს უთქვამს:

«ერთ მუხლში ვეთანხმებით მარტო: ყველა ქვეყნებში და ყველა ერში რეაქციონერებს თითქმის ერთნაირი ქცევა და აზრები აქვთ, ჩვენ რომ გერმანელ პოდბიელსკისა და პოსადოვსკის მაგივრად, მინისტრებად პოლონელი გოლუხტიანი და მიულერი გვყვანდეს (დეპუტატები იცინიან, პოსადოვსკი და პოდბიელსკი ხმამაღლობით პოლონელები არიან. დეპუტატებსაც ამიტომ გასცინებიათ), სულ ერთია ისინიც ამნაირადვე მოიქცეოდნენ გალიციაში პოლონელი თავად-აზნაურობა რუსინ გლეხ-ხალხს სჩაგრავს. პოლონელი მოხელეები და პოლიცია უკანონოდ ექცევიან მუშა ხალხს—ყველა ეს მართალია, მაგრამ აქაო და პოლონელები ცუდად იქცევიან, განა ჩვენც ნება გვეძლევა ცუდად მოვიქცეთ? განა ჩვენც გერმანიის პირველობისა, სწავლისა და კულტურის სახელით პოლონელებს უნდა ვსდევნიდეთ? ჩვენი შოვინისტები ვერა ჰხედავენ, რომ ვინც ასე ჰფიქრობს, არავითარი უფლება აღარა აქვს, თავისი თავი უმაღლესი ცივილიზაციის წარმომადგენლად ჩასთვალოს. თავად-აზნაურობის ცუდ ქცევას გალიციაში ვინ ააშკარავებს, ვინა ჰგმობს? ვინა და პოლონელი სოციალ-დემოკრატი დაშინსკი და მისი ამხანაგები. არავის არ უნდა ეგონოს, რომ პოლონეთშიაც, სხვა ქვეყნებივით, შინაგანი ანტაგონიზმი და ბრძოლა არსებობს. პოლონელი ერის ბედი მხოლოდ იმითი განსხვავდება სხვა ერთა ბედისაგან, რომ არის ხოლმე წამი, როცა პოლონელ მოწინავე კლასსაც სილას გაარტყმენ ხოლმე პირისახეში, მაშინ ამათ გულშიაც იღვიძებს ერთგვული გრძნობა, მაგრამ იმდენად კი თავის დღეში არ გაიღვიძებს ხოლმე, რომ თავიანთ კლასის სარგებლობა და ინტერესი დაივიწყონ. ხან-და-ხან ეს ნამდვილ ტრაგედიას ჰგავს. ეხლაც პოლონელი მოწინავე კლასი სწორედ რომ საცოდავ ყოფაშია: თავისი აზრებითა და ინტერესებით ეს კლასი მჭიდროთაა დაკავშირებული გერმანელ რეაქციონერებთან და ეხლა კი, როცა ჩვენმა რეაქციონერებმა სილა შემოჰკრეს, გაბოროტდნენ, შფოთავენ და ჰბორგვენ. ალბად ის კაა, რომ გულ დამწვარი პოლონელი რეაქციონერები თავიანთ დღეში ვერ შეიგნებენ, რომ მათი წამება, ტანჯვა და ცუდი ყოფა სულ რეაქციის ნაყოფია; ვერ მიჰხვდებიან, რომ ეს რეაქცია ყოველთვის საზიანოა, სახელმწიფო ცხოვრების სხვა დარგებსაც უჭირებს საქმეს და ყველგან ადამიანის უფლებას ჰლახავს და ამცირებს. პოლონელი დეპუტატები დღეს სამართალს თხოულობენ, გუშინ კი პურის ბაჟებს იცავდნენ და ვინ იცის, კიდევ რა პროექტებს არ მიუდგებიან. ჩემი დასი იმ აზრისაა, რომ დიდ მძლავრ ერს ნება არა აქვს, თავის ქვეშევრდომ ერებს თავისი ენა და ზნე ძალით მიაღებინოს. ამიტომ, რაღა თქმა უნდა, პოლონელების გაგერმანელებაც ჩვენ უბრალო ძალ-მომრეობად მიგვაჩნია. გრეშენის სკოლის მასწავლებლებმა ნამდვილად სასტიკად აიგდეს ბავშვები. უბრალო ზრდილობიანობაც კი არა ჰქონიათ. ის სკოლა, სადაც მასწავლებელი ჟანდარმის როლს თამაშობს, არა თუ პოლონელს გერმანელად ვერ აქცევს,—ამისი დარდი არა მაქვს,—კარგსაც ვეღარას ასწავლის ბავშვებს. დედები თავიანთ შვილებს მიეშველნენ,—ყოველი დედა ასე მოიქცეოდა—და ჩვენმა სასამართლომ კი ციხე მიუსაჯათ, განა ეს სასამართლოა? ჩვენმა მოსამართლეებმა სამართალიც და სიმართლეც ორივე სასტიკად აიგდეს და ფეხით გაქელეს. მე-XVI საუკუნეში ამბობდნენ: ვისიც ქვეყანაა, სჯულიც იმისი უნდა იყოსო. რა, თქვენ გგონიათ, ძლიერ შორს წაუვლით ამისთანა აზრებს? ეხლა სჯულის მაგივრად ენას ჩასციებიან. როგორც წინად ურჩებს მიადგებოდნენ და ძალა ძალად თავიანთ სარწმუნოებაზე აქცევდნენ, ისე ეხლა ნაციონალისტები პატარა ერსა და საქმეს უჭირებენ: გინდა თუ არა ჩემ ენაზე ილაპარაკეო, თუ ნებით არ გინდა, ძალით გალაპარაკებო.

დასასრულ მჭევრმეტყველ დეპუტატს უთქვამს: ჩემის აზრით, საჭიროა, რომ ეკლესია სახელმწიფოს სრულებით მოვაშოროთ. სკოლა სახელმწიფოს დაწესებულებათა დარგი არ არის, რომ სამღვდელოება სკოლის საქმეში ერეოდეს. სკოლა უნდა ზრდიდეს და ასწავლიდეს ემაწვილებს, სჯულისა და სამღვთო წერილის სწავლება კი თითონ მშობლებს მიენდოსო. ეს საქმე დედ-მამებმა იცოდნენ და იმათმა სინიდისმა. ეს რეფორმები რომ მოეხდინოთ, მაშინ არას დროს არ მოხდება პოზნანში ისეთი გულ-სასრევი ამბები, როგორიც გრეშენში მოხდაო».

ახალი ამბავი

◆ **სამოსამართლო პალატაში** გუშინ, 12 დეკემბერს, ბრალდებულთა და იმათ დამცველების სიტყვები ნაშუადღევის 2 საათზე დასრულდა. პალატამ 19 საკითხი დაადგინა დამნაშავეთა შესახებ და შეუდგა იმათ გარჩევას. საღამოს $6^1/_2$ საათზე გამოაცხადა შემდეგი განაჩენი: ბრალდებულნი გ. გ. ევანგულოვი (აწ გარდაცვლილი), თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, ქ. ა. ვერმიშევი, ა. ი. ივანენკო და ე. ი. ხოსროევი უდანაშაულოდ იქმნენ ცნობილნი და გაამართლეს.

◆ გუშინ-წინ ტფილისში გარდაიცვალა „კავკასიის სამეურნეო გაზეთისა“ და „ნოვ. ობოზრ.“-ს თანამშრომელი ვლად. ალექსანდრ. **ლარიონოვი.** განსვენებული ორთავე რედაქციის მდივნად იყო და გარდა ამისა სამეურნეო წერილების მოთავსებასაც ასწრებდა. განსვენებული შრომის მოყვარე, მეტად კეთილის გულისა და პატიოსან შეხედულებათა ადამიანი იყო.

◆ ორშაბათს, 10 დეკემბერს, ნაშუადღევს, უეცრად გარდაიცვალა ტფილისის ფერიცვალების მონასტრის წინამძღვარი **არხიმანდრიტი კესარიოსი.**

გ. ა. აბაშიძე.

◆ დღეს, 13 დეკემბერს, ქართულ თეატრში დანიშნულია უნიჭიერესი არტისტის **გ. აბაშიძის საბენეფისო** წარმოდგენა. ითამაშებენ სამ მოქმედებიან კომედიას „უცნაური ხაფანგი“ და ოპერეტს „რაინდი უშიშარი და უებრო“. მომზადება ძალიან დიდი აქვთ არტისტებს და წარმოდგენა, უეჭველია, საინტერესო იქნება. თქმა არ უნდა, რომ ქართველი საზოგადოება სიამოვნებით დაესწრება თავის დამსახურებულ პირველი არტისტის ბენეფისს.

◆ საიმპერატორო კავკასიის საექიმო საზოგადოებაში აღძრულია კითხვა, რომ მოიწვიონ მესამე კრება კავკასიის **ექიმთა.**

◆ 20 დეკემბრისთვის ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია **საგანგებო კრება** ტფილისის ნოქრების ურთიერთ დამხმარების საზოგადოებისა.

◆ 23 დეკემბერს **დანიშნულია საზოგადო კრება** ურთიერთ დაზღვევის საზოგადოებისა ტფილისში. ამ კრებაზე გაარჩევენ მოხსენებას აწ არსებულ წესდების შეცვლის შესახებ. სხვათა შორის, ფიქრობენ შეავსონ წესდება იმ მუხლით, რომ გარეშე პირნი არ ერეოდნენ ხოლმე საზოგადოების საქმეებში.

◆ გუშინ უსახელო საზოგადოების დირექტორმა ბ. რაგოლერმა წარადგინა ქალაქის სამმართველოში შესწორებული და შევსებული **პროექტი ელექტრონით მოძრაობის შემოღებისა** ქალაქის ცხენის რკინის გზებზე. ეს პროექტი 55 ფურცელზე არის დაწერილი და ზედვე აქვს თავისი გეგმა. ბ. რაგოლერმა ამასთანავე განაცხადა, რომ უსახელო საზოგადოებამ გადაწყვიტა, ისარგებლოს ტრამვაისათვის მხოლოდ ორთქლის ძალით.

◆ 14 დეკემბერს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კრებაზე გაარჩევენ, სხვათა შორის, კითხვას შესახებ ზოგიერთა **მარნების დაჯილდოვებისა**, რომლებიც წარმოადგინა უმთავრესმა დამარიგებელმა კომიტეტმა.

◆ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების რჩევაში აღიძრა კითხვა, რომ დააწესონ რამე გადასახადი იმ **მედლებზედ და ჯილდოებზედ**, რომლებიც საზოგადოებამ დაურიგა ექსპონენტებს გამოფენის გამო. როგორც გამოუანგარიშებიათ, ეს გადასახადი ზარალის უმეტეს ნაწილს დაფარავს. გამოანგარიშებულია 18,000 მანეთამდე.

◆ 17 დეკემბერს დანიშნულია კრება **კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა.** კრე-

ბაზე, გარდა მიმდინარე საქმეებისა, წარადგენენ მოხსენებას კავკასიის ექიმთა მეორე კრების კომიტეტისა შესახებ მაშინ აღძრულ შუამდგომლობისა და კითხვებისა. კრება ძალიან საყურადღებო უნდა იყოს, რადგანაც კრებაზე ბევრი კითხვა იყო აღძრული შესახებ ხალხის კეთილდღეობისა ჩვენს მხარეში.

✦ ლოთობის წინააღმდეგ საზოგადოებაში აღძრეს კითხვა, რომ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისაგან შეისყიდონ **გამოფენის თეატრის შენობები**, რომ ქალაქის გარედ ადგილზე ააშენონ სახალხო თეატრი.

✦ ინსპექტორი კავკასიის სამოსწავლო ოლქისა ბ. **ლოზინსკი წავიდა** ეკატერინოდარში სამსახურის გამო.

✦ **ფულის სიმცირე სწორედ რომ საგრძნობელი** შეიქმნა ტფილისში. ბევრი ფირმები თავის დროზე ველარ იხდიან თამასუქებით ვალს. ადგილობრივი სანოტარიალო კანტორები სწორედ აივსო ვადაგასული თამასუქებით, რომლებიც კანტორებს მოსდით სხვა და სხვა საკრედიტო და საბანკო დაწესებულებათაგან.

✦ ფოთის ქალაქის თავი ნ. ი. **ნიკოლაძე პეტერბურგში წავიდა**, რათა მიიღოს მონაწილეობა ნავთსადგურის კომისიის განხილვაში შესახებ ნავთ-სადგურის ხარჯთაღრიცხვისა მომავალი 1902 წლისა.

✦ ჩვენა გვქონდა მოხსენებული, რომ ვერაზე ბოზარჯიანცის ქარხნის ორი მოხელე მოჰკლეს; ერთ მოკლულს აღმოაჩნდა 21 ჭრილობა ხანჯლით, მეორეს—9. ერთს ამ მოკლულთაგანს, რომელიც, როგორც უფროსი მუშა, დანარჩენ მუშებს შაბათობით უსწორდებოდა ხოლმე, ზედ ყოველთვის ბლომადა ჰქონდა ხოლმე ფული. ამიტომ ფიქრობენ, რომ გაცარცვის აზრით არის მოკლული.

✦ ფოთიდან გვწერენ: „სამშაბათს, 11 დეკემბერს, გამგეობის დარბაზში, დილის 12 საათზე, გამგეობისავე თავ-ადასწრებით გამართულ იყო საჯარო ვაჭრობა ფოთის სამოქალაქო ექვს კლასიან სამეგრელოს სკოლის ორ-სართულიან ქვის შენობის აგებისათვის, რომელიც შესდგება 35 ოთახისაგან. საჯარო ვაჭრობის დროს მოიჯარადრეთა შორის ყველაზე ნაკლები ფასი მოიჯარადრემ ალ. პრაველნიკოვმა შეაძლია, რომელსაც 68.000 მანეთში დარჩა სასწავლებლის შენობის აგება.“

✦ ნახჩევანის მაზრის ექიმს ბ. **ბადრიძეს** მიუმართავს თხოვნით ტფილისის ქალაქის თვით-მმართველობისათვის, რომ მისცენ მას ადგილი სასანიტარო საექიმო ნაწილში.

✦ ერთი კაცი, რომელმაც თავი დაისახელა ვასილ ქრისტესიაშვილად გორის მაზრის სოფ. ერედის მცხოვრებლად, შესულა მცხეთის სობოროში, როგორც მლოცავი, და **საკურთხევლიდან მოუპარავს** ვერცხლის ფეშხუმი, ვარსკვლავი და დაფარნა. დამნაშავე და მისი ამხანაგი ს. დილმის, ტფილისის მაზრის მცხოვრები ბასილა პეტრეშვილი ნაქურდალის ნივთებით შეიპყრეს.

✦ მომავალი წლის გაზაფხულიდან დაიწყება სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების **საკუთარი სადგომის შენება** ლაბორატორიის ქუჩაზე, სადაც უკვე შეუძენიათ საჭირო ადგილი. შენობა დაჯდება, როგორც გამოუანგარიშიათ, 200,000 მან. მეტი.

✦ როგორც „ჩერნ. ვესტ“ სწერენ პეტერბურგიდან, სრულიად რუსეთის სოფლის-სამრეწველო გამოფენის მმართველობას აღუძრავს **შუამდგომლობა, რომ წასვლა-წამოსვლის შეღავათი** მიეცეთ სხვა და სხვა გუბერნიების მრეწველ, მათ შორის კავკასიელთაც.

✦ დღეს სხდომა აქვს ქალაქის სასწავლებლების კომისიას, რომელმაც უნდა ამოირჩიოს **საქმის მწარმოებელი** ქალაქის თვით-მმართველობის მოსამსახურეთაგან.

✦ 11 დეკემბერს მომხდარს **გაზრობით** გასყიდვაზე საგამოფენო შენობათა, შენობების უმეტეს ნაწილს მყიდველი მუშტარი არ გამოუჩნდა, ამის გამო ვაჭრობა მოხდება პარასკევს, 14 დეკემბერს.

✦ ხანდახან როგორ სწორედ აჩვენებენ **ქალაქის წყლის საზომები**, რომლებიც სახლებშია გამართული, ამას გვიმოწმებს შემდეგი: ტფილისის საიუნკრო სასწავლებლის უფროსმა მიჰმართა ქალაქის მმართველობას, რომ სასწავლებელს ეპატიოს ჯერ შეუტანელი წყლის ფული იმ მოსაზრებით, რომ ეს ფული სისწორით არ არის გამოანგარიშებული და რომ სასწავლებლის წყლის საზომი სტყუის, რადგანაც ნაჩვენებია, რომ ზაფხულში სასწავლებელს დაუხარჯავს, 258,944 ვედრო წყალი მაშინ, როდესაც სასწავლებელში მხოლოდ 12 კაცი იყო მოსამსახურეები, რადგანაც იუნკრები აგარაკად იყვნენ წასულები. ანგარიშით გამოდის, რომ ამ 12 კაცს ყოველ დღე უხარჯავს 1160 ვედრო წყალი. ამ შეცდომის გამო სასწავლებლის უფროსი სთხოვს მმართველობას ახსნან ეს ვალი სასწავლებელს და ამასთანავე წყლის საზომი შეასწორონ.

✦ მოგვივიდა მე-11 ნომერი ჟურნალ „**მოგზაური**“-ისა, რომელშიაც მოთავსებულია:

1) კოჯრის ციხე, სურათით. 2) ვერანას-ციხე, სურათით. 3) ახტალა, სურათით. 4) ას-წლოვანი ნაკერჩხლის ქვეშ, სურათით. 5) ჯვარცმა, აფრ. მერკვილაძისა. 6) მცირე რამ ქართველთ პირველ დროის ისტორიიდან. 7) ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა ჰერეთისა, ინგილო ჯანაშვილისა. 8) ბორჩალოს მაზრა და მასში მცხოვრები ქართველები, ბ—სა. 9) რუსუდან, ისტორიული დრამა, მოქმედება მეოთხ. 10) ანტონ I, კათალიკოს-პატრიარქი საქართველოსი, თ. ჟორდანიასი, თარგმანი კ. ანთაძისა. 12) სოლომონ ლეონიძე, კანცლერი მეფე ირაკლი II და სოლომონ II-ისა, ი. მარუშიძისა. 12) ბიბლიოგრაფია: «საგულისხმიერო ყრმ თა» და სხ.

✦ „ჩერნომ. ვესტნიკ“-ის სიტყვით, ამ დღეებში ოზურგეთში ტყვიით დასჭრეს აზნაური დიმიტრი მგალობლიშვილი, როდესაც ის გამოდიოდა მკერვალის სვიმონ ღლონტის სახელოსნოდან. მძიმედ დაჭრილი მგალობლიშვილი ამბობს, რომ სვიმონ ღლონტმა განზრახ მესროლა თოფიო იმ უთანხმოების გამო, რომელიც იმას მოუხდა ჩხარტიშვილთან, რომელთანაც ერთად ყოველ წლივ ამერიკაში მიჰყავნდა ხოლმე გურულები. ღლონტი კი ამტკიცებს რომ იმან მგალობლიშვილი შემთხვევით დასჭრა („ჩერნ. ვესტ“).

ქუთაისის ახალი ამბები

∽ **კარგად მოგეხსენებათ, რომ ქუთაისიდან ტყიბულამდის რკინის გზის შტო არის გაყვანილი, რომლითაც მცხოვრებთ უნდა ისარგებლონ. მაგრამ მიმოსვლა ისე გაწყეს რიგეს, რომ ხალხი ისევ ფეხით მოგზაურობას რჩეობს, ვიდრე რკინის გზით. მატარებელი ტყიბულიდან სწორედ შუადამისას გამოდის ქუთაისისკენ და ქუთაისიდანაც ისე,—რომ ტყიბულში შუა ღამისას მიდის. ტყიბულამდის კი სოფლებიდან შუადამისას მიმოსვლა ყოვლად შეუძლებელია. ვგონებთ, ურიგო არ იქმნება, ისე მოაწყონ მიმოსვლა, რომ ხალხს შეეძლოს ისარგებლოს.**

∽ **ქუთაისის რეალურ სასწავლებლის სასარგებლოდ 22 ნოემბერს გამართულ საქველმოქმედო წარმოდგენიდან ხსენებულ სასწავლებელს დარჩენია წმინდა შემოსავალი 405 მან. 85 კაპ., ეს ფული სასწავლებლის საბჭოს გაუნაწილებია 23 მოწაფის შუა, რომელთაც სწავლის ფასის გადახდა არ შეეძლოთ და სასწავლებლისათვის თავი უნდა დაენებებიათ («კავკაზ»).**

∽ **ქუთაისის მემამულეს სვ. ქვარიანს უთხოვნია მიწად-მოქმედების სამინისტროსათვის სესხი მელიორაციულ კრედიტის თანხიდან, მაგრამ უარი მოსვლია, რადგან ეს სესხი ეძლევა მამულების გასაუმჯობესებლად მხოლოდ სოფლის მემამულეთ. ეს საქმე საყურადღებოა პრინციპიალურად. გასაკვირველი არ არის, რომ რუსეთში მელიორაციული სესხი არ ეძლევა ქალაქელთ, რადგან იქ ქალაქში მეურნეობა არ არსებობს; ჩვენში-კი სულ სხვაა: ჩვენებურ ქალაქებში ხშირად კარგათაც არის დაყენებული მეურნეობის ესა თუ ის დარგი; მაგალითად, ტფილისში—მებაღეობა, განჯაში—მევენახეობა, ქუთაისში—მებაღეობა და მებოსტნეობა და სხვა. ამიტომ ჩვენში ქალაქის მემამულეთაც უნდა ეძლეოდეს მელიორაციული სესხი. სწორედ ამ მოსაზრების ძალით, კავკასიის მეღვინე-მევენახეთა წარსულ კრებამ დაადგინა იშუამდგომლოს სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ შეცვლილ იქმნას მელიორაციულ კრედიტის კანონი ქალაქელთა შესახებ კავკასიისათვის და მოსალოდნელია, სამინისტრო შესაძლებლად დაინახავს ამ შუამდგომლობის შეწყნარებას.**

∽ ქუთაისის ქალაქის თვით-მმართველობას აქვს ორი საქალაქო სასწორი: ერთი შუა ქალაქში, მეორე—ორპირის ქუჩაზე. თავიდანვე ორივე სასწორი ქალაქის გამგეობის მიერ გაცემულია იჯარით—თუ არა ვცდებით, სამას თუმნად. იმ კონდიციის (პირობი.) ძალით, რომელიც გამგეობისა და მოიჯარადრეს შუაა დადებული, მოიჯარადრე ვალდებულია გადაახდევინოს სოფლელებს მათი ნაწარმოების—სიმინდის ფქვილის, ღვინის, ლობიოსი და სხვა—აწონაში ფუთზე ერთი კაპეიკი. ხოლო ფუთზე ნაკლები თუ იქმნება ნაწარმოები—20 ან 30 გირვანქა—ასაწონი ქირა არა ხდება არც მყიდველსა და არც გამყიდველს. მწარმოებლებს უფლება აქვთ გაყიდონ თავიანთი სასწორის ფარდულში მოთავსებული სანოვაგე ნარდათ, აუწონავათ და სასწორის ქირა არ გადიხადონ. ნაწარმოების აწონის დროს მწონელმა უნდა აუცილებლად რიგ-რიგობას მიაქციოს ყურადღება და სხ. და სხ. სამწუხაროდ, არც ერთს ზემოდ ნაჩვენებს კონდიციის პირობებს ქალაქის სასწორის ეხლანდელი მოიჯარადრე არ ასრულებს. სასწორის ფასს ახდევინებს ყველას, ვინც კი სასწორის ფარდულის ქვეშ მოათავსებს რამე ნაწარმოებს და. არამც თუ ერთს კაპეიკს ფუთზე, არამედ ორსა და სამ აბაზსაც. როცა ყურძნის ყიდვის დროა ქუთაისში, სასწორის მოიჯარადრის თავხედობას არ აქვს საძღვარი. ხშირად მოხდება ხოლმე მოიჯარადრესა და ყურძნის მყიდველებს (ებრაელებს, ესენი უფრო ბევრს ყიდულობენ სხვებზე) პირი აქვთ შეკრული ერთმანეთში, რომ ყურძნის აწონის დროს იქონიოს მხედველობაში მის, მყიდველის ინტერესები, ან და სრულებით ნუ აწონოს ტარას (ნეტოს). მართლაც არ მომხდარა ჯერ, რომ ქუთაისის ქალაქის სასწორის მოიჯარადრეს ეჩვენებიოს სოფლის მევენახესათვის ყურძნის ნამდვილი წონა. აწონის ძარიანად ყურძენს და შემდეგ ვარაუდით გამოაკლებს. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ თითოეულ ძირიდან მწონელი ღებულობს ერთ კალათა ყურძენს ყურძნის პატრონის სურვილის წინააღმდეგ შემდეგ ამნაირად მოგროვილი ყურძენი ისყიდება მოიჯარადრის მიერ ცალკე. სხვა დროსაც სოფლელები უკიდურეს მდგომარეობაში არიან ჩავარდნილი, რადგანაც თვითონ მოიჯარადრე ჰყიდულობს სოფლელებიდან სხვა-და-სხვა ნაწარმოებებს და შემდეგ აწყობს სასწორის ფარდულის ქვეშ, იჭერს დიდ ალაგს და შემდეგ ცოტ-ცოტად ჰყიდის ორჯელ მეტ ფასად. მოიჯარადრის ამ ნაირ მოქმედებას არა ერთხელ აღუდგნენ წინ სოფლელები; საჩივარიც ბევრჯერ შეიტანენ ქალაქის გამგეობაში, მაგრამ ჯერჯერობით არა გამოვიდა-რა, თუმცა ქუთაისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს არა ერთხელ მიუქცევია გამგეობის ყურადღება ზემო-ხსენებულ უწესოებაზე.

რუსეთის ქრონიკა

∝ საკითხი საუნივერსიტეტო რეფორმის შესახებ განხილულ იქნება სახელმწიფო საბჭოში ამ ზამთარშივე; საშუალო სასწავლებლის პროგრამის გადასინჯვა კი გადაიდება მომავალ წლის ზამთრისათვის.

∝ საერო განათლების სამინისტროში დაარსდება განსაკუთრებული ცენტრალური კომიტეტი, რომელშიაც წევრებად იქნებიან ყველა სამინისტროთა წარმომადგენელნი და რომელსაც ჩაებარება ზედამხედველობა და მმართველობა ყველა სპეციალურ სასწავლებლებისა; სხვათა შორის ამ კომიტეტის განკარგულებაში იქნებიან მუშებისათვის კურსები, ხელოსნებისათვის კლასები და სხვა ამგვარი განმანათლებელი დაწესებულებანი.

ტფილისის სამოსამართლო პალატა

ტფილისის ქალაქის მოურავის, კოლ. სოვ. გიორგი გრიგოლის ძის ევანგულოვისა (აწ გარდაცვალებულის), ქალაქის გამგეობის წევრთ: გუბ. სეკრ. ევგრაფ იაგორისძის ხოსროევისა, კოლ. რეგ. თავ. ალექსანდრე მიხეილის ძის არღუთინსკი-დოლგორუკოვისა და ამავე გამგეობის წევრად ყოფილთ—სტატსკი სოვეტნ. აპოლონ ათანასეს ძის ივანენკოსი და ტიტ. სოვ. ქრისტეფორე ავაქუმის ძის ვერმიშევის საქმე, რომელთაც ბრალი ედებათ სამსახურის დროს დანაშაულის ჩადენისა

სხდომა 9 დეკემბერს

თავ. **არღ.-დოლგ.** კითხვებზე: სახლის პატრონები რომ ადგილს დაიჭერენ ქუჩებში სხვა-და-სხვა მასალის დასაწყობად, როცა შენობას აგებენ, ამისათვის დაწესებულია ქალაქისაგან ბაჟი, რომელსაც შემდეგის წესით იღებენ: სახლის პატრონმა უნდა განცხადება შეიტანოს გამგეობაში, აქედან ეს ქაღალდი ბუხჰალტერიაში მოდიოდა, აქ ორდერს დავამზადებდით და კასაში შევგზავნიდით, სადაც ფული უნდა მიეცა იმ ორდერით სახლის პატრონს. ორდერი რომ დაკარგულიყო—ამას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, უამისოდაც ადვილად შევიტყობდით ვის როდის რამდენი შემოუტანია ფული. საზოგადოთ ბუხჰალტერიაში მუშაობა საძნელოა, რადგან ისეთი პირობები არ არის, როგორიც საჭიროა.

ივანენკოს კითხვებზე: ანგარიშებისათვის ორი დავთარი იყო: ერთში თეთრად იწერებოდა, მეორეში შავად. მე გამომძიებელთან გამოვაცხადე, რომ ანგარიშო დავთარში შესწორებული ადგილები არის მეთქი, მაგრამ ეს შეეხებოდა შავად სახმარებელ დავთარს. გამგეობის საბუხჰალტერო დავთრებით ადვილად შეიძლება მოიძებნოს როგორიც გინდა ცნობა. დღე-მუდამ ამოწმებდით ასიგნოვკებსა და ორდერებს ერთმანეთთან და მერე აწერდით ხოლმე ხელს.

ამის შემდეგ მოწმემ დაწვრილებით აუხსნა პალატას, რა წესი იყო დაწესებული გამგეობის კასიდან ფულების გამოტანისა, ასიგნოვკების რევიზიისა, საბუხჰალტერო წიგნებისა და ყოველისავე საბუთების, რომელიც ფულის ანგარიშს შეეხებოდა. სახლებზე გარდასახადის ხარჯისა დაწესებული იყო 11 დავთარი, სადაც სახელდობრ ფულის ყოველი მომტანი ცალკე იყო ჩაწერილი. თუნდაც რომ სადმე შეცდომა მოგვსვლოდა, მაინც ადვილად შეგვეძლო სიმართლის აღდგენა იმ კვიტანციით, რომელიც ფულის მომტანს ეძლევა. ახსნა აგრეთვე იჯარით გაცემულ მამულების პირობები სად ინახება და როგორი ანგარიში ჰქონდა გამგეობას მიღებული ამ შემთხვევაში.

თავ. **არღ.-დოლგ.** კითხვებზე: ხანდახან დავთრებში შეცდომაც შეგვხვდებოდა, მაგრამ შევასწორებდით, ხშირად გამგეობის წევრნი თვითონ იღებდნენ მონაწილეობას შეცდომის გასწორებაში. ყუზანოვისა და ხეროდინოვის შეცდომები სწორედ ამით აღმოაჩინეს. თავ. არღ.-დოლგ. არ სჯეროდა ყუზანოვის მიერ ჩადენილი საქმეები, მაგრამ როცა თვითონ გამოიკვლია ანგარიშების შემოწმებით და დარწმუნდა, მაშინ დაითხოვა კიდეც ისინი სამსახურიდან.

პროკურორმა გამოუცხადა პალატას, რომ მოწმე ერემიშევი იმის განხილვაში შედის, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა გამგეობის საბუხჰალტერო დავთრებს, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ამისი დაფარება სარწმუნოდ მივიღოთ. როგორც პალატას მოეხსენება, გამომძიებელმა ამ წიგნების შესამოწმებლად მცოდნე კაცები მოიწვია და ამათ თავისი მსჯავრი კიდეც დასდვეს ტფ. ქალაქის გამგეობის საბუხჰალტერო დავთრებს და წეს-რიგობას. ამას გარდა მოწმე წინად, გამომძიებელთან, სხვას ამბობდა და ეხლა სხვას: პირველად მხოლოდ ისა სთქვა, არღუთინსკი-დოლგორუკოვი მხოლოდ ყუზანოვის მოქმედების გამოკვლევისა გამო ამოწმებდა საბუხჰალტერო დავთრებსაო.

ნაფიც ვექილ. **ტისლენკო**: თუ გამომძიებელის მიერ დანიშნულ მცოდნე კაცების აზრით (ექსპერტიზით) გნებავსთ იხელმძღვანელოთ, მე ამის წინააღმდეგი არა ვარ, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ რა პასუხი უნდა მოგცეთ, როცა ექსპერტები აქ, პალატაში, არ არიან, რომ საჭირო საგნები პირადის გამოკითხვით გამოვიკვლიოთ აქვე, ამისათვის შეუძლებლად მიმაჩნია ამ ექსპერტიზაზედ ლაპარაკი.

მოწ. ხეროდინოვი, მე-4 უბნის ბაზრის ზედამხედველი კი აცხადებს, რომ ქალაქის „ბუდკების“ გაქირავება მხოლოდ სიტყვიერად ხდებოდა, წერილობით პირობები არ იყო დამქირავებელსა და ქალაქის შუაო. მერე პროკურორის კითხვებზედ დაწვრილებით განმარტა, როგორი წესი იყო შემოღებული სხვა-და-სხვა ხარჯების აკრებაში, ამის კონტროლში და სხვა—ყოველივე ისე ახსნა, როგორც წინა მოწმეებმა.

მოწ. **ტერ-გევონდიანცი**, ბაზრის ზედამხედველი, თავმჯდომარის კითხვებზედ: ჩემი მოვალეობა იყო ჯერ სალდათის ბაზარზე და მერე, როცა აქედან გადამიყვანეს, თათრის მოედანზე თვალ-ყური მედევნებინა ვაჭრობისათვის, ცუდი რომ არ გაეყიდათ ხორაგეულობა. 1897 და 1898 წლებში სალდათის ბაზარში და მოედანზედაც კვირა-დღეებით მგზავნიდნენ, რომ ამ დღისთვის დაწესებული ბაჟი ამეკრიბა მოვაჭრეთაგან, ბოლოს ისე გამიჭირდა სამსახური, რომ თავი დავანებე

პროკურორის კითხვებზედ: იმიტომ გამიჭირდა სამსახური, რომ სულ აირ-დაირია ბაჟებისა და ხარჯების საქმე და მეტი სახათაბალო გახდა.

გარდასახადს აგენტები აწესებდნენ თავის ნებით, როგორც სურდათ.

მერე დაწვრილებით ახსნა ისე, როგორც წინანდელმა მოწმებმა, რა წესითა და რიგით იღებდნენ აგენტები მარკებს გამგეობიდან, როგორ ახდევინებდნენ ამ მარკებით ბაჟს, როგორ უბრუნებდნენ ამ მარკებს უფროსებს, როგორი კონტროლი იყო ბაჟის რაოდენობის შესატყობად და სხვა.

ბოროტ-მოქმედება არ შემინიშნავსო—განაგრძო მოწმემ—მაგრამ არევ-დარევა საქმისა ბევრი იყო. თუ ვისმე ცუდ რასმე შევნიშნავდი, უფროსს ვეტყოდი და დამნაშავეს სამსახურიდან დაითხოვდნენ. ერთი შემთხვევა მახსოვს, როდესაც ყუზანოვმა კვიტანციის მაგიერ უბრალო ბარათი მისცა ერთი მანეთისა და სამი აბაზისა.

თავ. **არღუთ.-დოლგ.** კითხვებზედ: სამსახურს თავი დავანებე, თუ არ ვსცდები, 1899 წლის მარტის თვეში. სანამ სამსახურს თავს დავანებებდი, ერთის თვით დავეთხოვე, რომ ხარკოვში წავსულიყავი ოპერაციებისათვის იქაურს კლინიკაში. გამგეობისაგან სამი თუმანი დახმარებაც მივიღე, მაგრამ ხარკოვს არ წაველ, რადგან შევიტყე, იქ სტუდენტების არეულობა იყო.

თავ. არღ.-დოლგორუკოვმა აუხსნა პალატას, რომ ტერ-გევონდიანცმა გამგეობა მოატყუილაო იმით, რომ ავადმყოფობა მოიგონა, ფულით შემწეობაც მიიღო და თვითონ, ხარკოვის მაგიერ, კასპის იქითა მხარეს გასწია, და იქ ღვინით ვაჭრობა დაიწყო ტფილისის ვაჭრის მინდობილობითაო. როცა ქალაქში ჩამოვიდა, დავიბარეთ, გამოვკითხეთ ამბავი. მაგრამ მაინც იმას ამტკიცებდა, ხარკოვში ვიყავიო. როცა ჩვენ ექიმის მოწმობა მოვსთხოვეთ ან პოლიციის მიერ ხარკოვში შემოწმებული პასპორტი—მეორე დღეს ამის მაგიერ ქაღალდი შემოიტანა სამსახურიდან დათხოვნისა.

მოწ. **მელიქოვი**, ექიმი, ხმოსანი საბჭოსი. მე ვიყავი იმ კომისიის თავმჯდომარე, რომელიც საბჭომ აირჩია სალდათის ბაზარში მოვაჭრეთაგან შემოსულის საჩივრის გამო. ამ ბაზარში ქალაქის „ბუდკებზე“ დანიშნული ფასები მომეტებულად მეჩვენა. ვაჭრები იმას ჩიოდნენ, რომ იმათი ყოველკვირიური შემოსავალი უფრო ნაკლები იყო, ვიდრე კვირა დღეებით მოვაჭრეთ ჰქონდათ, მაშინ როდესაც ეს უკანასკნელნი იმათზე ნაკლებ ხარჯს აძლევენ ქალაქსაო.

ზრიკურთის კითხვებზე: როცა აგენტს ყუზანოვს დავთრები მოვსთხოვე, მინდოდა შემემოწმებინა ვაჭრების საჩივარი, უარი მითხრა, არ მოგცემ გასასინჯავადო. მე ქალაქის მოურავს ამის გამო საჩივარი გამოუცხადე და ყუზანოვი სამსახურიდან გადააყენეს. რევიზიის დროს დავრწმუნდი, რომ ქალაქის ადგილების ფასები ამ ბაზარში, ჩემის აზრით, უსწორ-მასწორი იყო და აქირავებდნენ, როგორც მდებარეობის მიხედვით, ისე იმის მიხედვით, ვინ რით ვაჭრობდა. კომისიის წევრმა მირზოევმა აღმოაჩინა, რომ ერთი ვაჭრისათვის ფული გარდაეხდევინებინათ, მაგრამ კვიტანცია არ ჰქონდა. ყუზანოვმა არც ამის გამოსაკვლევად მიუშვა მირზოევი. რამდენად რიგიანად თვალ-ყურს ადევნებდნენ აქ ქალაქის აგენტები ან გამგეობის წევრნი, ამის შესახებ მე არ შემიძლია თქმა რისამე, მხოლოდ ვამტკიცებ, რომ ფასები დიდი იყო იქ დანიშნული. ჩემი საჩივრის მიცემის შემდეგ რამდენიმე დღე გავიდა და მოვითხოვე დამხმარე მოეცათ ჩვენთვის, რომ მეორე კვირა დღეს კიდევ მოგვეხდინა რევიზია. ჯაბადარმა ორი კაცი მოგვცა. მერე ქალაქის მოურავს ქაღალდი მივეცი, გამოუცხადე, რომ ბაზარში ფაქტიურ რევიზიას თავს ვანებებ. —ბაზართან მე ახლოს ვდგევარ, ხშირად ვხედავ იქ ხარჯის ამკრებს, აგენტებს-კი იშვიათად. ვაჭრების საჩივარის გამო გამგეობამ ის აზრი წარუდგინა საბჭოს, რომ ფასები შეუცვლელი დარჩესო და საბჭომაც შეიწყნარა გამგეობის განცხადება.

თავ. **არღ.-დოლგ.** კითხვებზე: მე ბინა არა მაქვს ბაზარში რომ სახლი მაქვს, მე იქ მხოლოდ კვირაში ერთხელ მივდივარ; ზაფხულობით ქალაქიდან სააგარაკოდ გავდივარ. ბაზარი დიდია, როცა მე იქ დავდიოდი ხოლმე ხანდისხან, შეიძლება იმავე დროს ამ ბაზარშივე სხვა ადგილას ან აგენტი ან გამგეობის წევრი დადიოდა, მაგრამ მე არ შემენიშნოს. ერთხელ თქვენც გნახეთ კვირა-დღეს ამ ბაზარში. 1897 და 1898 წლებში იმ კომისიის თავმჯდომარედ ვიყავი, რომელიც გამგეობის მოქმედებას არჩევდა; ჩვენი მუშაობის დროს გამგეობა სრულ დახმარებას გვაძლევდა საქმის ვითარების გამოკვლევაში.

ხოსროევის კითხვებზედ: რამდენადაც მე ვიცი, გამგეობა გულ-მოდგინედ მოქმედებდა, რომ სახლების პატრონებზე დარჩენილი ხარჯები აეკრიბა; ისიც ვიცი, რომ ამისათვის სახლის შემოსავალიც შეუკრავს. საბჭოს დადგენილებისა გამო, გამგეობა ერთგულად მუშაობდა, რომ ქალაქის მამულების სია (ინვენტარი) შეედგინა. სამშენებლო განყოფილების რევიზია კომისიამ 1896 წლამდე მიიტანა.

ნაფ. ვექ. **კრასოვსკის** კითხვაზე: ინვენტარი დიდი ხანია შედგენილია, მაგრამ ბევრი მამული გამოტოვებულია შიგ, მაგრამ არ მახსოვს კი რომელი: ინვენტარის შედგენისათვის მიწის მზომელმა კოლუბანსკიმ აუცილებლად დაინახა ჯერ ქალაქის პლანის შედგენა.

მოწ. **ლარიონოვი**, ქალაქის მიწის მზომელი: ინვენტარში მხოლოდ ის ადგილები შევვქონდა, რომელზედაც ნამდვილი უდავო საბუთები ხელში ჰქონდა ქალაქს, საეჭვო მამული იქ არ იწერებოდა. ჩემი მოვალეობა იყო ქალაქის ადგილები დამეცვა, საზღვრები არავის შეეცვალა, მაგრამ ნამდვილი სია ამ ადგილებისა მე არ მქონია. ინვენტარი ჩემ ხელში იყო და რაც იქ ჩაწერილი იყო, იმას ვცდილობდი, ცხადად, ადგილობრივ შემემოწმებინა, მაგრამ ძნელად, რომ იქ ჩაწერილი საზღვრები ნამდვილადაც ისე გამოსულიყო, როგორც ინვენტარში ჩაწერილი და პლანში ნაჩვენები იყო; პლანი ხშირად ნამდვილს არ ეთანხმებოდა, ამის გამო საზღვარზე საჩივარი ხშირი იყო. ინვენტარის შედგენა ჩემი მოვალეობაა, მაგრამ მე როგორ აღვნიშნო იქ ქალაქის ადგილი, როცა ამ ადგილის მფლობელობის არავითარი საბუთი არა აქვს ქალაქს. კერძოდ განცხადება არასოდეს არ შევვიტანია გამგეობაში ამ ნაკლულევანების შესახებ, მაგრამ საზოგადოდ აღიძრა ამ საჭიროების შესახებ საკითხი გამგეობის წევრის ვერმიშევის მიერ, რომელიც ამტკიცებდა სრულ ინვენტარის შედგენის საჭიროებას.

ზრიკურთის კითხვებზედ: ადგილების საზღვრები სინამდვილით აღნიშნულია ინვენტარში ისე, როგორც საბუთები გვეუბნებოდენ; ცალკე აღწერილობაც არის ზოგი ადგილისა, მაგრამ სადავო ადგილები არ იწერებოდა ინვენტარში და ამათ შესახებ ვერავითარი ცნობა ვერ შევკრიბე. მოიჯარადრეთა სია ცალკე მაქვს შედგენილი იმ პირობების ქაღალდებით, რომელიც შეკრული ჰქონდა გამგეობას; ისეთი მოიჯარადრენიც არიან, რომ პირობა სრულებით არა აქვთ შეკრული ქალაქთან—ასეა ძველთაგანვე. პირობები გამგეობაშია, მოიჯარადრეს ამის პირი აქვს და მეც ამის შემწეობით შევადგენდი ხოლმე სიებს.

ნაფ. ვექ. **კრასოვსკის** კითხვებზედ: მე არ მახსოვს, როდისაა პირველი ინვენტარი შედგენილი, მსმენია კი, რომ იგი მარკოზოვს შეუდგენია ინვენტარში ბევრი შეცდომაა და ამის შესასწორებლად ჯერ საჭიროა ადგილების პლანზე გადაღება, რისთვისაც დიდი ხარჯი უნდა გამოიღოს ქალაქმა. ქალაქის მიწას ბევრ ძალად დაეპატრონა, გამგეობა ზოგს ამათგანს პირობით შეეკრა, ზოგიც სასამართლოში მიიწვია იქ საბოლოოდ საქმის გადასაწყვეტად და ეს მოვალეობა ვერმიშევს დაავალა.

ნაფ. ვექ. **ტისლენკოს** კითხვებზედ: ქალაქის შესახებ ცნობებს ჩვენ ვიღებდით იმ დავთრებიდან, სადაც სახლების დასაფასებელი ცნობები იყო. სანამ მე სამსახურში შევიდოდი, 1896 წლის 1-ლ სექტემბრამდე, ქალაქის ადგილები ბევრი დაეჭირათ მცხოვრებლებს და გამგეობა ამათთან შეთანხმებაში შედიოდა. ეს საქმე გამგეობის წევრთ ივანენკოსა და თავ. არღუთინსკი დოლგორუკოვის ხელში იყო.

ვერმიშევის კითხვებზე: ამ ჟამად ინვენტარი არ არის შედგენილი. ცნობებსაც გამომძიებელი თხოულობდა, ადვილად შეიძლებოდა იმათი ამოკრება სახლების დასაფასებელ ფურცლებიდან. ქალაქს თუ რომელიმე ადგილზე დოკუმენტი არ ჰქონდა, ამ შემთხვევაში თვითონ მოიჯარადრეებს უნდა ეთქვათ, რომ ის ადგილი ქალაქისაო.

ივანენკომ გარკვევით აუხსნა პალატას, როგორ და როდის იყო შედგენილი ძველი ინვენტარი, როგორ ფლობელობს ქალაქი ქალაქს გარეთ უბნებში მდებარე ადგილებზე. ამ ადგილების შესახებ ვორონცოვის ნამესტნიკობის დროს 1841 წელს მთელი წესები შემუშავებულა და შემდეგში ეს წესები თვით კანონებში იქმნა შეტანილი. დასახელებულნი იყვნენ ამ ადგილებში იმ პირობით, რომ სანამ გამოიყიდნენ, მანამ მუქთად უნდა ესარგებლათ ამ ადგილებით.

სხდომა ერთი საათით შესწყვიტეს.

(შემდეგი იქნება)

პროვინცია

ლეჩხუმი. დადგა პირველი დეკემბერი და ძლივს თავისუფლად ამოვისუნთქეთ. დღეს პირველად გამოიდარა ნოემბრის ხანგრძლივის თოვა-წვიმის შემდეგ. წვიმა-თოვლმა რამოდენიმე სოფელი საგრძნობლად დააზარალა. ზოგან სახლებიც კი წაიღო... განსაკუთრებით აზარალა ამ თვის წვიმა-ავდრიანობამ მხვნელ-მთესველი. ჩვეულებრივ გლეხი შემოდგომაზე—სიმინდის შეხვნის შემდეგ ნასიმინდარში პურის თესვას შეუდგება ხოლმე. საუკეთესო დრო ამისა ოქტომბერი და ნოემბერია. ამ ორის თვის განმავლობაში უნდა მოასწროს გლეხმა ნასიმინდრების პურით დათესვა. წრეულს კი თითქმის ნახევრად დაუთესავი დარჩათ.

დეკემბრის დარები სწორედ მალამოდ მოეცხო დამწუხრებულ გლეხის გულს. ის აჩქარებით გაეშურა ყანებში სახნავად და, თუ ამ თვემ კარგა ხანს იდარა, გვგონია, პურის დათესვას მოასწრობს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება ეს დღე ცაგერლებისათვის. 1 დეკემბერს ლეჩხუმის მაზრის უფროსის თაოსნობით მოწვეულნი იყვნენ სამაზრო სამართველოს შენობაში წევრები სამკითხველოს მოწყობ-რიგების შესახებ მოსალაპარაკებლად. დაადგინეს იქირაონ სახლი სამკითხველოსთვის და კიდევაც მოურიგდნენ სახლის პატრონს; აირჩიეს თავმჯდომარე და გამგეობის წევრები, რომელთაც დაევალათ მიმართონ წერილებით საპატიო წევრებად არჩეულთ და სთხოვონ შემწეობა. აქვე გამოარკვიეს საწევრო ფულის რაოდენობა და დაავალეს გამგეობას შეატყობინოს ეს დანარჩენს წევრებს. ნაანგარიშევია სამოცამდე წევრი, თუ კი ყველამ, ვინც სახეში ჰყავდათ, მიიღო მონაწილეობა. დარწმუნებული ვართ არავინ არ აუქცევს ამ საქმეს გვერდს. სამკითხველო გაიხსნება მომავალ იანვრის პირველ რიცხვებში. იმედია, რაკი ერთხელ დაიწყეს კეთილი საქმე, აღარ გააქრობენ. ვუსურვებთ ამ ნორჩს დაწესებულებას სრულს წარმატებას და ამასთანავე იმასაც, რომ მისი მოქმედება არ ყოფილიყოს ცალ მხრივი და ხალხსაც შეეძლოს მითი სარგებლობა.

ამასთანავე გაგახსენებთ ბ. ა. ხაბულიანს, რომელსაც, როგორც «კვალში» დაბეჭდილ მისი წერილებიდან ვიცით, აქვს ამ სამკითხველოსათვის შეკრებილი ფული, რომ დანიშნულებისამებრ მოსახმარად გამოუგზავნოს ან მაზრის უფროსს, ან კიდევ სამკითხველოს სახელობაზე.

დ. მ.

საღამოს დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

12 დეკემბერი

კალუგა. დამშეულ გუბერნიებიდან მოვიდა 500 მუშა სიზრანო-ვიაზემსკის რკინის გზაზე სამუშაოდ კალუგის გუბერნიაში; სამუშაო გაცხარებულია; მუშების სადგომები გუბერნატორმა დაათვალიერა.

ნიუ იორკი. 10 დეკემბრიდან გაზეთები იტყობინებიან, რომ მიღებულის ცნობებით ჩილისა და არგენტინის რესპუბლიკებმა მოაწერეს ხელი ოქმს, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ორივე რესპუბლიკებს შორის უთანხმოება გათავებულა, და რომ ორივე მთავრობა შეთანხმდენ, რომ დაიცვან 1898 წლის ოქმი. როგორც იტყობინებიან ვალპარაიზოდან, იქ ხმა დადის, რომ არგენტინის და ჩილის რესპუბლიკებმა ხელი მოაწერეს ოქმს, რომლითაც შეთანხმდენ, გარდასცენ ჩამოგდებული უთანხმოება ინგლისს გასარჩევად, როგორც სამედიატორო სასამართლოს. ბუენოს აირესიდან იტყობინებიან, რომ პრეზიდენტმა როკამ წარმოადგინა დაწვრილებითი ანგარიში იმ გარემოებაზედ, რომელმაც გამოიწვია შუღლი. ამბობენ, ანგარიში არის გაგზავნილი.

კონსტანტინეპოლი. როგორც ელჩების მოხსენებიდანა სჩანს, ბოლგარიის მიტროპოლიტი მონასტერში ბედნიერად გადარჩა თავ-დასხმას, რომელიც მის წინააღმდეგ განიძრახეს მაკედონიის კომიტეტებმა. ამბობენ, რომ მიტროპოლიტი მტრულად ეკიდება ამ კომიტეტებსაო.

პარიზი. ოსმალეთის ელჩი მუნი-ბეი უამბობს ერთ პარიზის გაზეთის თანამშრომელს, რომელმაც სთხოვა, ეთქვა რამე შესახებ ტრიპოლიტანის კითხვისა, რომ ეგეთი კითხვა არ არსებობსო. მაჰმადიანები სულთანის ერთგულები არიანო. ეხლა ხან გავრცელებული ხმა შესახებ სამხედრო ბეგრის შემოღებისა, ტყუილია. თითონ ხალხი დიდიხანია ნებას თხოულობს, რომ ბარადით ივარჯიშონ. ეს ვარჯიშობა ყოველ დღე არის დილა საღამოთი ოფიცრების ხელმძღვანელობით. საზღვაო მინისტრმა და მთავარი შტაბის და ფლოტის უფროსმა განაცხადეს საზღვაო პარლმენტის კომისიაში, რომ არხის გაკეთება ორ ზღვის შუა სასურველია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დიდს გემებსაც შეეძლებათ იმითი სარგებლობა.

კალკუტა. ბრიტანიის ჯარებმა მერკაში იერიშის მიტანით აიღეს სიმაგრე, რომელიც სპარსეთის ავაზაკებს ეჭირათ. ინგლისელებს სამი კაცი მოუკლეს, ორი ოფიცერი და ექვსი ჯარის კაცი დაუჭრეს; ავაზაკებს მოუკლეს 20 კაცი, მათ შორის ბელადი, 14 კაცი დაუჭრეს და 64 ტყვედ წაიყვანეს. ავაზაკთა ბრბო სრულიად ამოწყვეტილია.

ერევანი. რელსების დაწყობა ალექსანდროპოლ-ერევნის რკინის გზაზედ გათავებულია; ამ დღეებში დაიწყება მიმოსვლა მგზავრთა მატარებლებისა და აგრეთვე საქონლისა.

მოსკოვი. 11 დეკემბერს რუსეთის სიტყვიერების მოყვარულთა საზოგადოებას გილიაროვსკიმ გარდასცა დიპლომი, რომელიც გოგოლსა ჰქონდა მიცემული, როგორც მოსკოვის უნივერსიტეტის საპატიო წევრს.

ბიისკი. ბიისკში ელიან მონგოლიიდან 60,000 შავი კვერნის ტყავს და თეთრს—1,000 000 მდე. და ცხვრისა და აქლემის მატყლს 70,000 ფუთს. მონგოლიაში კვერნის ტყავი იყიდება თეთრი 25-მდე, ხოლო შავი 80 კაპეკამდე თითო.

გამომცემელი და დრ. რედაქტორი ი. ჯაბადარი.

ფუნითის ქუჩაზე № 2, ელ. გამუვის შენობაში მეორე სართულში იძლევა ქირით ოთახები; ხუთი ოთახი ცალკე და შვიდი ოთახი ცალკე, წყლით და ვანით. იქვე იძლევა ქირით სარდაფი და მაღაზიები იანვრიდან. პირობებისთვის მიჰმართეთ იქვე ეზოში გამგე მინდიაშვილს. (2—208—2)

გამოვიდა ძმ. თავართქილაძეების გამოცემული:

1) კედლის კალენდარი

40 კაპ.

2) «საყოველთაო კალენდარი»

20 კაპ.

შინაარსი: კალენდარი მართ-მადიდებელთა, კათოლიკეთა და გრიგორიანთა. საეკლესიო სახარება მღვდელთათვის სახელმძღვანელო, დარ-ავდარი, მთავარის ანგარიში, ოჯახში სახმარებელი ცნობანი და მეურნეობა, საქონლის წამლობა და სხვა-და-სხვა...

სალიტერატურო ნაწილში არის სხვათა შორის „მოსე მწერალი“ გ. წერეთლისა, ნადირობა გ. აბაშიძისა, სიტყვა გაბრიელ ეპისკოპოზისა და სხვა მრავალი.

3) უბის წიგნი კალენდრით

ფ. 30 კაპ.

უმთავრესი საწყობი ბათომში გამომცემლებთან. წვრილად გასაყიდად დარიგებულია ყველა წიგნის მაღაზიებში. (5—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 Декабря 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობისა.